საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2013 წლის 28 თებერვლის
დადგენილება №880

სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის
დეკანის პროფ. რ. ქუთათელაძის მოხსენებითი
ბარათის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის „ტექსტის რეფერირება და თარგმანის“ სამაგისტრო პროგრამის მე-2 სასწავლო წლის სტუდენტები მაგდა ბაქანიძე და დიანა კუნჭულია, რომლებსაც მოპოვებული ჰქონდათ 100%-ანი სასწავლო გრანტი, მაგრამ პროგრამამ ვერ გაიარა აკრედიტაცია, რის გამოც შეწყდა სახელმწიფოს მიერ სასწავლო გრანტით დაფინანსება, გათავისუფლდნენ ერთი წლის სწავლის საფასურის გადახდისაგან.
2. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის „ტექსტის რეფერირებისა და თარგმანის“ სამაგისტრო პროგრამის მე-2 სასწავლო წლის სტუდენტები ოლღა ბერძენაძე, თამარ დავლაძე, გვანცა კობერიძე, ნათია გათიკაშვილი და ლანა შამუგია პროგრამის მოდიფიცირების გამო გათავისუფლდნენ 30 კრედიტის საფასურის გადახდისაგან და მათთან გაფორმებული ფინანსური ხელშეკრულებები უცვლელი დარჩეს 2 სასწავლო წლის საფასურის გადახდის ნაწილშიც.
3. მასობრივი კომუნიკაციის“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შალვა გოგინავა, რომელიც სწავლობდა რუსულენოვან „ჟურნალისტიკის“ პროგრამაზე, მაგრამ პროგრამამ ვერ გაიარა აკრედიტაცია, რის გამოც სტუდენტი მობილობით გადავიდა ქართულენოვან „მასკომუნიკაციის“ პროგრამაზე, გათავისუფლდეს განსხვავებული კრედიტების საფასურის გადახდისაგან და მასთან გაფორმებული ფინანსური ხელშეკრულება უცვლელი დარჩეს 2 სასწავლო წლის საფასურის გადახდის ნაწილში.

სხდომის თავმჯდომარე ბ. ბოქოლიშვილი
აკადემიური საბჭოს სწავლული
მდივანი გ. სალუქვაძე